

შპს ქარელის ხილი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მსს ფასს-ზე გადასვლა	7
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
6. სავაჭრო მოთხოვნები	10
7. მარაგები	11
8. ძირითადი საშუალებები	11
9. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
10. სესხები	12
11. საწესდებო კაპიტალი	13
12. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
14. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18	31-12-17
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	6,304	4,033	1,359
სავაჭრო მოთხოვნები	6	417,243	323,392	227,657
მარაგები	7	334,202	191,608	163,166
სხვა მიმდინარე აქტივები		9,797	150	
სულ მოკლევადიანი აქტივები		767,546	519,183	392,182
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	497,128	592,052	591,593
არამატერიალური აქტივები		-	-	
სულ გრძელვადიანი აქტივები		497,128	592,052	591,593
მთლიანი აქტივები		1,264,674	1,111,235	983,775
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	214,628	99,228	59,738
საგადასახადო ვალდებულებები		5,150	15,708	7,409
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		37,574	41,401	30,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		257,352	156,337	97,147
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	851,653	1,007,489	951,849
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		851,653	1,007,489	951,849
მთლიანი ვალდებულებები		1,109,005	1,163,826	1,048,996
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	726,039	337,190	105,500
აკუმულირებული ზარალი		(570,370)	(389,781)	(170,721)
სულ საკუთარი კაპიტალი		155,669	(52,591)	(65,221)
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,264,674	1,111,235	983,775

აღმასრულებელი დირექტორი



ანანო ბეჟანიშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18	31-12-17
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	6,304	4,033	1,359
სავაჭრო მოთხოვნები	6	417,243	323,392	227,657
მარაგები	7	334,202	191,608	163,166
სხვა მიმდინარე აქტივები		9,797	150	
სულ მოკლევადიანი აქტივები		767,546	519,183	392,182
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	497,128	592,052	591,593
არამატერიალური აქტივები		-	-	
სულ გრძელვადიანი აქტივები		497,128	592,052	591,593
მთლიანი აქტივები		1,264,674	1,111,235	983,775
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	214,628	99,228	59,738
საგადასახადო ვალდებულებები		5,150	15,708	7,409
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		37,574	41,401	30,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		257,352	156,337	97,147
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	10	851,653	1,007,489	951,849
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		851,653	1,007,489	951,849
მთლიანი ვალდებულებები		1,109,005	1,163,826	1,048,996
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	726,039	337,190	105,500
აკუმულირებული ზარალი		(570,370)	(389,781)	(170,721)
სულ საკუთარი კაპიტალი		155,669	(52,591)	(65,221)
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,264,674	1,111,235	983,775

აღმასრულებელი დირექტორი -----

ანანო ბეჟანიშვილი

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	815,009	644,690
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12	(401,480)	(337,651)
საერთო მოგება		413,529	307,039
კომერციული ხარჯები		(156,034)	(64,373)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(152,088)	(205,701)
ხელფასები და სხვა სარგებელი	14	(96,858)	(151,280)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	8	(111,717)	(85,508)
სხვა შემოსავლები		44,467	51,662
სხვა ხარჯები		(10,347)	(11,063)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(69,048)	(159,224)
საპროცენტო ხარჯი		(87,703)	(46,715)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(23,838)	(13,121)
ზარალი დაბეგრამდე		(180,589)	(219,060)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(180,589)	(219,060)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარი		105,500	(170,721)	(65,221)
წმინდა ზარალი		-	(219,060)	(219,060)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		231,690	-	231,690
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი		337,190	(389,781)	(52,591)
წმინდა ზარალი		-	(180,589)	(180,589)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11	388,849	-	388,849
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	11	726,039	(570,370)	155,669

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-19	31-12-18
საოპერაციო საქმიანობა			
ზარალი დაბეგვრამდე		(180,589)	(219,060)
კორექტირებები:			
საპროცენტო ხარჯი		87,703	46,715
ზარალი საკურსო სხვაობიდან		23,838	13,121
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		111,717	85,508
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(91,556)	(98,030)
ცვლილება მარაგებში		(142,594)	(26,343)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		(11,942)	46
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		115,400	39,490
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		(10,558)	8,299
ცვლილება გადასახდელ ხელფასებსა და სხვა სარგებელში		(3,827)	11,401
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(102,408)	(138,853)
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(16,793)	(85,967)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(16,793)	(85,967)
ფინანსური საქმიანობა			
პროცენტის გადახდა		(87,703)	(46,715)
სესხის აღება		-	42,519
სესხის დაფარვა		(179,674)	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	12	388,849	231,690
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		121,472	227,494
ფული და ფულის ექვივალენტების ზრდა		2,271	2,674
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	5	4,033	1,359
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	6,304	4,033

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქარელის ხილი დაფუძნდა 2015 წლის 27 თებერვალს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №75, კორ. 10, ბ. 16. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405088569. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: გიორგი კვირიკაძე (01008013283) - 10%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქართული ხილის ფონდი, (405338512)- 40%, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აგროინდუსტრია 2010, (404397201) – 50%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხილის გადამამუშავება და ჩირის წარმოება. კომპანიას რეალიზაციას ახდენს, როგორც ქართულ ბაზარზე ასევე გააქვს პროდუქცია ექსპორტზე.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს აღმასრულებელი დირექტორი - ანანო ბეჟანიშვილი (პ/ნ 01008005845).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ მისი საქმიანობა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. საწარმომ მსს ფასს-ის შესაბამისი საწყისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა აღნიშნულ თარიღში.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ

დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	25
მანქანა-დანადგარები	10
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

4.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.5 სესხები

სესხების თავდაპირველი აღიარება ხდება მიღებული თანხით, რომელსაც აკლდება საკომისიო და სესხის აღების ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). სესხების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

4.6 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და

ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

4.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-19	31-12-18
ფული სალაროში	556	123
ფული საბანკო ანგარიშებზე	5,748	3,910
სულ	6,304	4,033

6. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება პროდუქციის ადგილობრივ ქსელებზე რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნებისგან.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-19	31-12-18
მოთხოვნები მიწოდებიდან	417,243	325,687
სულ	417,243	325,687

7. მარაგები

კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და ნახევარფაბრიკატები.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-19	31-12-18
საქონელი	7,460	1,978
მასალა და ნედლეული	105,937	54,100
მზა პროდუქცია	220,805	135,530
სულ	334,202	191,608

8. ძირითადი საშუალებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები ჯგუფებად:

ძირითადი საშუალებები	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთები	10,000	-	10,000
შენობა-ნაგებობები	259,936	(31,581)	228,355
მანქანა-დანადგარები	523,583	(294,052)	229,531
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	18,805	(13,167)	5,638
ავეჯი და სხვა ინვენტარი	34,492	(11,653)	22,839
სატრანსპორტო საშუალებები	1,575	(810)	765
სულ	848,391	(351,263)	497,128

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები ჯგუფებად:

ძირითადი საშუალებები	ისტორიული ღირებულება	დაგროვილი ცვეთა	საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთები	10,000	-	10,000
შენობა-ნაგებობები	257,084	(12,994)	244,090
მანქანა-დანადგარები	520,183	(212,879)	307,304
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	16,540	(9,421)	7,119
ავეჯი და სხვა ინვენტარი	22,201	(4,539)	17,662
სატრანსპორტო საშუალება	8,573	(2,696)	5,877
სულ	834,581	(242,529)	592,052

9. სავაჭრო ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-19	31-12-18
იჯარის ვალდებულებები დამფუძნებლის მიმართ	32,750	23,750
ვალდებულება ნედლეულისა და მომსახურების მომწოდებლების მიმართ	181,878	75,478
სულ	214,628	99,228

10. სესხები

2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სესხები	31-12-19	31-12-18
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი	358,116	353,355
სესხები სხვა დაკავშირებული მხარეებისგან	74,000	99,000
ბანკის სესხი	419,538	555,134
სულ	851,653	1,007,489

11. საწესდებო კაპიტალი

2018 წელს დამფუძნებელმა კაპიტალში ჩადო 231,690 ლარი ხოლო 2019 წელს 388,849 ლარი.

12. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხილის გადამამუშავება და ჩირის წარმოება. კომპანიას რეალიზაციას ახდენს, როგორც ქართულ ბაზარზე ასევე გააქვს პროდუქცია ექსპორტზე. 2019 და 2018 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-19	31-12-18
შემოსავალი ფასდათმობებამდე	851,680	697,779
ფასდათმობები და უკანდაბრუნებები	(36,671)	(53,089)
წმინდა შემოსავლები	815,009	644,690
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(401,480)	(337,651)
საერთო მოგება	413,529	307,039

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-19	31-12-18
იჯარის ხარჯი	17,895	18,000
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	11,535	49,262
ჰიგიენის ხარჯი-დეზინფექცია	5,201	5,073
ლაბორატორიული ანალიზი	3,309	1,520
ქონების გადასახადის ხარჯი	10,331	5,983
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	1,864	2,640
საწვავის ხარჯი	23,539	20,010
სხვა ხარჯები	23,184	48,792
სულ	96,858	151,280

14. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-19	31-12-18
სახელფასო ხარჯი	122,568	205,701
ბონუსები, პენსია და სხვა სარგებელი	29,520	-
სულ	152,088	205,701

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 სესხები

2019 და 2018 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები დამფუძნებლებისა და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან. აღნიშნული სესხების ბალანსები წარმოდგენილია ქვემოთ:

სესხები	31-12-19	31-12-18
სესხები დამფუძნებლისგან	358,116	353,355
სესხები სხვა დაკავშირებული მხარეებისგან	74,000	99,000
სულ	432,116	452,355

15.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2019 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 32,467 ლარი, ხოლო 2018 წელს 31,125 ლარი.

15.3 იჯარის ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ

კომპანიას ოფისი ნაქირავები აქვს დაკავშირებული მხარისგან. 2019 წლის განმავლობაში აღნიშნული ობიექტის იჯარის ხარჯმა შეადგინა 23,506 ლარი. აღნიშნული თანხა არ იყო გადახდილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამისად სრულად შედიოდა სავაჭრო ვალდებულებებში.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19-ით გამოწვეული გლობალური კრიზისის გამო, მარტის მეორე ნახევარში საქართველოში გამოცხადდა ე.წ. ლოქდაუნი, რამაც მრავალი ბიზნესის საქმიანობის შეჩერება და/ან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა განაპირობა. ლოქდაუნმა ორი თვე გასტანა. აღნიშნულის გამო, კომპანიას შეუმცირდა რეალიზაცია. თუმცა ამ ანგარიშგების თარიღისთვის ლოქდაუნი მოხსნილია და კომპანია სრული დატვირთვით ფუნქციონირებს.